



ენა, როგორც იარაღი

1988-1989 წლები

ნაშრომი შეიქმნა პროექტის „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფივი(1989-2008): დოკუმენტები წარსულის გახსენებისა და ანალიზისათვის“ ფარგლებში თავმოყრილ ასობით დოკუმენტსა და საარქივო მასალაზე დაყრდნობით.

გიორგი ინალიშვილი
ავტორი

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციის საკმაოდ სწრაფ ტემპს განიცდის. სახელმწიფოებს შორის საზღვრები პირობითი ხდება, თუმცა გარკვეული თავისებურებები უცვლელი რჩება. ეროვნული დამოუკიდებლობისა და იდენტობის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელს ენა წარმოადგენს, რომელზე ზრუნვაც სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. ისტორიას რომ გადავხედოთ, რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება რუსული ენის გავრცელება იყო მის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე, რაც ნაწილობრივ გამოუვიდა კიდეც. ზოგადად, საკუთარი ეროვნული ინტერესების გატარებისთვის ენის, როგორც იარაღის გამოყენება, ინოვაციას და ახალ გამოგონებას არ წარმოადგენს. 1920-30-იან წლებში ბელარუსული და უკრაინული ენისა და დამწერლობის მიზანმიმართული რუსიფიკაცია და რუსულ ლექსიკონთან ძალდატანებითი მიახლოება ხდებოდა, რამაც შედეგი გამოიღო. 2018 წლის მონაცემებით¹, ბელარუსის მოსახლეობის მხოლოდ 2,2% საუბრობს საკუთარ, ბელარუსულ ენაზე, აბსოლუტური უმრავლესობა კი როგორც ოფიციალურ, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში რუსულ ენას იყენებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მთელს მის ყოფილ ტერიტორიაზე დიდი რუსულენოვანი, რუსულის მცოდნე აუდიტორია დარჩა, რომელზე ზემოქმედებისა და საკუთარი ინტერესების გატარების მცდელობა რუსეთმა იტვირთა. 21-ე საუკუნეში შეიცვალა ომის წარმოების საშუალებები, ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ მთავარ იარაღად დეზინფორმაცია და ყალბი ამბები იქცა. რუსეთი ანტიდასავლურ პროპაგანდას ძირითადად რუსულენოვანი საინფორმაციო არხებით ავრცელებს, რომელთაც მაყურებლები ბლომად ჰყავთ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში. ამის შესანიშნავი მაგალითია უკრაინა, სადაც სახელმწიფო ენა უკრაინულია, თუმცა მოსახლეობის თითქმის ნახევარი როგორც ყოფით, ისე საზოგადოებრივ სივრცეში რუსულს იყენებს. რუსული პროპაგანდა გარედან და პრორუსული ძალები შიგნით მუდმივად ცდილობენ დაჰყონ და ერთმანეთს დაუპირისპირონ უკრაინელები სწორედ ენის მიხედვით, ავრცელებენ რა სხვადასხვა დამაპირისპირებელ გზავნილებს.

ენა, როგორც დამაპირისპირებელი იარაღი, საბჭოთა კავშირმა საქართველოშიც გამოიყენა, რამაც ხელი შეუწყო ხალხებს შორის ეთნიკური შუღლის გაღვივებას. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და საქართველოს სსრ-ს ცენტრალური ხელისუფლების დაპირისპირების ერთ-ერთი საბაზი სწორედ ქართული და ოსური ენების გამოყენების საკითხი იყო.

¹<https://eadaaily.com/ru/news/2018/11/20/socopros-v-belorussii-grazhdane-pochti-ne-govoryat-na-beloruskom-yazyke>

ერთი ქვეყანა, 4 ენა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ კონსტიტუციაში, რომელმაც რეალურად მხოლოდ 4 დღე იარსება, მკაფიოდ იყო განსაზღვრული, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა იყო ქართული, თუმცა ამავე დროს დაცული იყო ეროვნული უმცირესობების მიერ საკუთარი მშობლიური ენის გამოყენების უფლება. ამავე კონსტიტუციის 136-ე მუხლის მიხედვით, „ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირესობა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20 %-ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედაენაზედაც.“² 1921-1991 წლებში, საბჭოთა საქართველოს პერიოდში 4 კონსტიტუცია იქნა მიღებული, სადაც სახელმწიფო ენად ქართული იყო მითითებული, თუმცა ამ ჩანაწერის არსებობისთვის საკმაოდ დიდი ბრძოლა გახდა საჭირო. 1978 წელს მასობრივი მღელვარება მოჰყვა საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტს, სადაც 1936 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით, ქართული ენა სახელმწიფო ენად აღარ იყო გამოცხადებული. ქართული საზოგადოების მასობრივმა საპროტესტო დემონსტრაციებმა შედეგი გამოიღო და მოსკოვი დათმობაზე წავიდა. აღნიშნულმა მიღწევამ ქართული ნაციონალიზმის აღზევებას ხელი შეუწყო, რაც მოგვიანებით ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გადაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა საქართველოში სახელმწიფო ენად ქართული იყო გამოცხადებული, ქვეყნის მასშტაბით, ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში სულ სხვაგვარი სიტუაცია იყო. ჯავახეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სომხურენოვანი იყო, ხოლო ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი - აზერბაიჯანულენოვანი. განსხვავებით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისა, ამ რეგიონებს ავტონომიური სტატუსი არ ჰქონდათ, შესაბამისად ადგილობრივი ენების, როგორც ინსტრუმენტის გამოყენება მეტი, თუნდაც ავტონომიური უფლებების მოსათხოვად ვერ ხერხდებოდა. აღნიშნულ ტერიტორიებზე არ არსებობდა ისეთი სამართლებრივი ან საკანონმდებლო ორგანო, რომელიც ინსტიტუციურ დონეზე, კანონის ან თუნდაც დადგენილება/ბრძანების დონეზე მოითხოვდა ამა თუ იმ ცვლილებას. (ინსტიტუციური ბრძოლის საშუალებას იყვნენ მოკლებულნი).

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, 1989 წლის აღწერის მიხედვით,³ სულ 99102 ადამიანი ცხოვრობდა, რომლის 66% ეთნიკური ოსი, ხოლო 29% ეთნიკური ქართველი

²http://constcentre.gov.ge/failebi/1921_clis_konstitucia_33442.pdf

³<http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rnsossetia.html>

იყო. ხალხთა შორის კომუნიკაციის პრობლემა არც არსებობდა, რადგან ქართული და ოსური სოფლები ტერიტორიულად ერთნამეთთან ახლოს იყო და მრავალი შერეული ოჯახი ცხოვრობდა. ორი ერის წარმომადგენლებმა ერთმანეთის ენები კარგად იცოდნენ, შესაბამისად საკომუნიკაციო ენად რუსული ნაკლებად გამოიყენებოდა. ასევე ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ეთნიკური ოსები სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებს გარეთ, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზეც კომპაქტურად ცხოვრობდნენ და ქართულ საზოგადოების საკმაოდ ინტეგრირებულ ნაწილს წარმოადგენდნენ.

სრულიად განსხვავებული ვითარება იყო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელიც ეთნიკურად საკმაოდ ჭრელი იყო. 1989 წლის აღწერის მიხედვით⁴, აფხაზეთში 525 061 ადამიანი ცხოვრობდა, რომლის 45%-ს ქართველები, ხოლო 17.8%-ს აფხაზები შეადგენდნენ. იქვე ცხოვრობდნენ სომხები (14.6%), რუსები (14.3%), ბერძნები, უკრაინელები, ებრაელები, ესტონელები და ა.შ. ასეთ მრავალფეროვან გარემოში, ხალხთაშორის საკომუნიკაციო ენად რუსული გამოიყენებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა წილი მთელს მოსახლეობაში თითქმის სამჯერ აღემატებოდა, აფხაზები ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში დომინანტურ პოზიციაზე იყვნენ. რაც შეეხება აფხაზურ ენას, იგი უმეტესწილად აფხაზების მიერ, ყოფით, ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენებოდა. ქართული ენა ძირითადად ქართულენოვან მოსახლეობაში გამოიყენებოდა, ისიც აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ქართველები კომპაქტურად ცხოვრობდნენ. აქედან გამომდინარე, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ვერც აფხაზურმა და ვერც ქართულმა ენებმა აფხაზეთში ძირითად საკომუნიკაციო ენად დამკვიდრება ვერ შეძლეს. რეგიონის ძირითადი დომინანტური და ხალხთაშორისი საკომუნიკაციო ენა ყველა სფეროში რუსული იყო.

საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში საქართველოში შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როცა ორ ავტონომიურ წარმონაქმნში - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სეპარატისტული განწყობები უკიდურესად გაიზარდა, დედაქალაქში ეთნონაციონალიზმის აღზევებამ მასშტაბური სახე მიიღო. ცენტრსა და რეგიონებს შორის თავიდან კანონებისა და დოკუმენტების ბრძოლა დაიწყო, რომლის ერთ-ერთ საბაზად ენა იქცა. 1990-იანი წლების ბოლოს საქართველოში 4 ენა იქნა გამოყენებული ბრძოლის ინსტრუმენტად - აფხაზური აფხაზეთში, ოსური - სამხრეთ ოსეთში, ქართული ენა მთლიანად საქართველოში. მეოთხე - რუსული ენა ძირითადად საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლების გზავნილების გადმოსაცემად და ასევე იმ ეთნიკური უმცირესობებზე ზემოქმედებისთვის გამოიყენებოდა, რომლებიც კონკრეტულ რეგიონებში მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ.

⁴<http://www.ethno-kavkaz.narod.ru/rnabkhazia.html>

ენა, როგორც ბრძოლის საშუალება

ეროვნული მოძრაობის გააქტიურება 1988 წლიდან იწყება, როცა თბილისში პირველად გაისმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული სეპარატისტული განწყობის მქონე ძალები შემოფოთებით შესცქეროდნენ დედაქალაქში მიმდინარე მოვლენებს და საკუთარი განზრახვების სისრულეში მოყვანის გზებს ეძებდნენ. 1989 წლის დასაწყისიდან ქართული ეროვნული მოძრაობა არნახულ ძალებს იკრებს, ჩნდება ახალი მოთხოვნები, რომელთა გაჟღერებაც პრესის საშუალებით ხდებოდა. ამ მხრივ გამორჩეული გამოცემა „ლიტერატურული საქართველო“ იყო, რომელიც ლიტერატურაზე მეტად პოლიტიკური ხასიათის სტატიებს აქვეყნებდა. 1989 წლის იანვარსა და თებერვალში გაზეთში ორი სტატია დაიბეჭდა, სადაც ყურადღება იყო გამახვილებული ქართული ენის დაუცველობაზე სამხრეთ ოსეთში. ამ წლის იანვარში დაბეჭდილ სტატიაში⁵ იურისტი, პროფესორი თამაზ შავგულიძე მოითხოვდა რომ "ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საქმის წარმოება, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უნდა მიმდინარეობდეს სახელმწიფო ენაზე - ქართულ ენაზე. ამავე დროს, ოლქში ფართოდ უნდა იყოს გამოყენებული რუსული და ოსური ენები". ამავე წლის თებერვალში გამოქვეყნდა მკითხველის - ინჟინერ ნოდარ ნებიერიძის - წერილი⁶ რედაქციისადმი სათაურით: „დავიცვათ სახელმწიფო ენის სტატუსი“. სადაც იგი ამტკიცებდა, რომ 1988 წლის ნოემბერში ქალაქ ცხინვალის შემნახველმა ბანკმა უარი უთხრა ხელფასების გაცემაზე იმ მოტივით, რომ დოკუმენტები შედგენილი იყო ქართულ ენაზე, რომელიც ბანკის თანამშრომლებისთვის იყო გაუგებარი.

ეს ორი წერილი და მათში გადმოცემული შინაარსი ნათლად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ გარკვეული ძალები, ნაციონალისტური იდეებით განმსჭვალულები, ქართული ენის გამოყენებით ცდილობდნენ სეპარატისტული განწყობებისადმი დაპირისპირებას, თუმცა გაუგებარია, რატომ დაიწყო „გალაშქრება“ სამხრეთ ოსეთით, და არა, თუნდაც, აფხაზეთით, სადაც სეპარატისტული განწყობები უფრო ძლიერი იყო და ქართული ენა, ისევე როგორც ქართული მოსახლეობის ინტერესები, ხშირად უგულვებელყოფილი იყო.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ოსების კავშირი ქართულ ენასა და სახელმწიფოსთან რომ უფრო მჭიდროდ იყო, ვიდრე აფხაზებისა, ამას 1989 წლის აღწერის მონაცემები ადასტურებს. მართლაც,

⁵<https://www.sutori.com/en/item/1989-clis-27-ianvars-gazet-literaturul-sak-art-veloshi-gamok-veqnda-iuristis>

⁶<https://www.sutori.com/en/item/1989-clis-t-ebervalshi-literaturul-sak-art-veloshi-daibechda-mkit-xvelis>

საქართველოს სსრ-ში 1989 წელს⁷164055 ოსიდან 33694-მა, ანუ 20,5%-მა მშობლიურ ენად ქართული დაასახელა. რადიკალურად განსხვავებული ვითარება იყო აფხაზების შემთხვევაში - 1989 წელს⁸ საქართველოში მცხოვრები 95853 აფხაზიდან მხოლოდ 1233 მათგანი, ანუ 1.3% ასახელებდა ქართულს, როგორც მშობლიურ ენას. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ მთლიანი ოსური მოსახლეობის თითქმის ნახევარი ავტონომიური ოლქის ფარგლებს გარეთ, ხოლო აფხაზების აბსოლუტური უმრავლესობა აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა. მიუხედავად ამ გარემოებებისა, ცალსახაა, რომ ოსები უფრო ინტეგრირებულები იყვნენ ქართულ სოციალურ და პოლიტიკურ სივრცეში. აფხაზები კი ძირითადად საკუთარი თავის, როგორც ჩაგრულების და მსხვერპლის წარმოჩენით იყვნენ დაკავებულები, რამაც ხელი შეუწყო აფხაზური ნაციონალიზმის აღზევას.

1989 წლის 18 მარტს, ლიხნის ყრილობაზე შეკრებილმა რამდენიმე ათასმა აფხაზმა საქართველოდან გამოყოფა მოითხოვა, რასაც მყისიერი რეაქცია მოჰყვა მთელს ქვეყანაში. აფხაზური სეპარატიზმის წინააღმდეგ მასობრივი დემონსტრაციები თბილისში 5 აპრილს დაიწყო, რომელიც საბოლოოდ 9 აპრილის ტრაგედიით დასრულდა. აფხაზი ნაციონალისტების მიერ ლიხნის ყრილობის გამართვას სამხრეთ ოსეთში მოქმედი ოსური ნაციონალისტური ორგანიზაცია „ადამონ ნიხასი“⁹ გამოესარჩლა და „აფხაზ ძმებს“ წერილობითი მხარდაჭერა 1989 წლის 4 აპრილს გამოუცხადა.¹⁰ „ადამონ ნიხასი“ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაში დიდი პოპულარულობით იმ პერიოდში არ სარგებლობდა. თანაც წერილის გამოქვეყნების თარიღი წინ უსწრებდა თბილისში მასობრივი გამოსვლების დაწყების თარიღს. ფაქტია, რომ 1989 წლის მარტსა და აპრილში, ქვეყნის ორ წერტილში ერთდროულად დაიწყო სეპარატისტული ძალების აქტიური ქმედებები, რასაც ქართული ეროვნული მოძრაობა და მხარდამჭერი ნაციონალისტური ჯგუფები გამოეხმაურებოდნენ. ისინი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დაწყებული პროცესების უკან მხოლოდ საბჭოთა კავშირს ხედავდნენ და სხვა არსებულ პრობლემებზე ყურადღებას არც ამახვილებდნენ. 9 აპრილის ტრაგედიამ ეროვნულ მოძრაობას საბჭოთა ხელისუფლებაზე მორალური უპირატესობა შესძინა. თავად ეროვნული მოძრაობა არაერთგვაროვანი იყო და მასში განსხვავებული შეხედულების ძალები იყრიდნენ თავს. ცალსახაა, რომ მათში ახალი ქართული, ეთნონაციონალისტური იდეები ჭარბად იყო, რამაც შემდგომში მრავალი შეცდომის დაშვებას შეუწყო ხელი.

⁷http://www.demoscope.ru/weekly/ssp/sng_nac_lan_89_gr.php

⁸http://www.demoscope.ru/weekly/ssp/sng_nac_lan_89_gr.php

⁹ ადამონ ნიხასი (რუს. Адамон Ныхас (АН), ოს. Адæмон Ныхас — „სახალხო კრება“) — სეპარატიზმის ხელშემწყობი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, შექმნილი 1988 წლის ნოემბერში.

¹⁰<https://www.sutori.com/en/item/4-aprili-1989-celi-samxret-oset-is-arap-ormaluri-gaert-ianebis-adamon>

1989 წლის მაისამდე პროცესები მეტ-ნაკლებად მშვიდობიანად მიმდინარეობდა და ქართულ-ოსური ურთიერთობები მკვეთრად არ გაუარესებულა. მხარეები აცნობიერებდნენ, რომ დამაბულობა და დაპირისპირება კარგს არაფერს მოიტანდა. სწორედ ამ დროს, 1989 წლის 5 მაისს, ყოველგვარი ლოგიკური ახსნის გარეშე, პოლიტიკური და ნაციონალისტური იდეების რუპორად ქცეულმა გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველოს“ ჯერ კიდევ 4 აპრილს, აფხაზეთის რაიონულ გაზეთში გამოქვეყნებული „ადამონ ნიხასის“ წერილი ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა. თუ იქამდე ამ წერილისა და მათი ავტორის შესახებ ინფორმაცია საკმაოდ ვიწრო წრეს ჰქონდა, რესპუბლიკური მნიშვნელობის გაზეთის „წყალობით“ წერილის შესახებ უკვე ყველამ გაიგო. ფაქტობრივად, ქართულ ენაზე წერილის გამოქვეყნებამ „ადამონ ნიხასი“ საქვეყნოდ ცნობილი გახადა, რითაც ქართულ-ოსური დაპირისპირების ახალი ეტაპი დაიწყო.

ენის „სიწმინდის“ დაცვა

ენის საკითხით სპეკულირება და მანიპულირება 1989 წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო გაღრმავდა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ“¹¹ ახალი ვნებათაღელვა გამოიწვია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. დადგენილებით განსაზღვრული იყო ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსი, როგორც სახელმწიფო ენის გამოყენების უზრუნველყოფა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა სახის პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-სასწავლო, კულტურულ, სამეურნეო დაწესებულებებსა და საწარმოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში; კონკრეტულ წინადადებათა შემუშავება რესპუბლიკის არაქართულ სკოლებში ქართული ენის სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ; საყოფაცხოვრებო და საინფორმაციო მომსახურების სფეროში ქართულ ენის საყოველთაოდ გამოყენების უზრუნველყოფა¹². ცხადი იყო, აღნიშნულ გადაწყვეტილებას საპასუხო რეაქცია მოჰყვებოდა. 1989 წლის 4 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ მიიღო დადგენილება ოსური ენის განვითარების პროგრამის შესახებ, რითაც თბილისსა და ცხინვალს შორის ე.წ. „კანონების ომი“ დაიწყო.

1989 წლის სექტემბრის თვე ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი რადიკალური და კატეგორიული ხდება სამხრეთი ოსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ცენტრალური

¹¹https://rrc.ge/law/progr_1989_08_25_q.htm?lawid=1183&lng_3=ge

<https://www.sutori.com/en/item/pirveli-nacili-15-agvisto-1989-celi-k-art-uli-enis-saxelmcip-o>

¹²<http://www.parliament.ge/uploads/other/18/18511.pdf>

მთავრობის მიმართ. ჯერ კიდევ 4 სექტემბერს მიღებულ „ოსური ენის განვითარების პროგრამის“ 1-ლი მუხლის პირველ პუნქტში ეწერა, რომ *სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ენებია ოსური, ქართული და რუსული - როგორც სსრკ-ს ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენა*. მოგვიანებით, 26 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეთერთმეტე სესიამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ მოქმედი კონსტიტუციის 75-ე მუხლს დამატებოდა პუნქტი: "სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო ენაა ოსური ენა". ფაქტობრივად ერთ თვეში, ოსურმა მხარემ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ერთ-ერთი სახელმწიფო ენისთვის - ქართული ენისთვის სტატუსის ჩამორთმევა კონსტიტუციის დონეზე მოითხოვა.

სამწუხაროდ თავიდანვე ცხადი იყო, რომ ცენტრალური ხელისუფლება ოსური მხარის მოთხოვნას არ გაითვალისწინებდა. სავარაუდოა, რომ ეს იყო ერთგვარი საბაბი სხვა, უფრო მკაცრი მოთხოვნების გასაჟღერებლად. მართლაც, 1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს XII საგანგებო სესიამ მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებისა და ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ამასთან, აღნიშნულმა სესიამ ოსური ენის განვითარების პროგრამაშიც შეიტანა ცვლილება, რომლის მიხედვითაც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ერთადერთ სახელმწიფო ენად ოსური ცხადდებოდა, თუმცა ქართული და რუსული ენის გამოყენებაც დაშვებული იქნებოდა სსრკ-ს ენობრივი პოლიტიკის შესაბამისად.

ცხინვალის ხელისუფლების რადიკალურ გადაწყვეტილებას საპასუხო რეაქცია მოჰყვა. ქართული მხარისა და ოფიციალური თბილისის ორმა ნაბიჯმა სიტუაცია უკიდურესად გაამწვავა - 1. საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ სამხრეთ ოსეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გააუქმა იმ მიზეზით, რომ პროცედურული და ფორმალური საკითხები დარღვეული იყო. 2. 1989 წლის 23 ნოემბერს, ეროვნული მოძრაობის ლიდერები, დაახლოებით 15 000 ქართველთან ერთად ცხინვალისკენ დაიძრნენ ქალაქში მშვიდობიანი მიტინგის ჩასატარებლად, რისი საშუალებაც მათ არ მიეცათ. ოსურმა მხარემ ეს ნაბიჯი ძალის დემონსტრაციად აღიქვა.

ოსური მხარის პროვოკაციულმა ნაბიჯებმა და ქართული მხარის საპასუხო რეაქციებმა მდგომარეობა იმ დონემდე მიიყვანეს, რომ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება, რომელიც ასე თუ ისე ცდილობდა თბილისთან ურთიერთობების მოგვარებას, სეპარატისტული ორგანიზაცია „ადამონ ნიხასის“ თანამოაზრე გახდა. 1989 წლის დასასრულიდან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობა ოფიციალურ თბილისთან რადიკალურ დაპირისპირებაში გადავიდა. 1990 წლისთვის მდგომარეობა იმდენად

გამწვავდა, რომ ოლქის ტერიტორიაზე ეთნიკურ ქართველებსა და ოსებს შორის სისხლიც დაიღვარა.

დასკვნა

1988-89 წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენები უახლესი ისტორიის მხოლოდ ერთი კონკრეტული ეპიზოდი იყო. მიუხედავად მცირე პერიოდისა, ამ წლებმა ბევრი რამ გადაწყვიტა და განსაზღვრა. საქართველოში ქართული ეთნონაციონალისტური და აფხაზური/ოსური ნაციონალისტური განწყობები ერთმანეთის პარალელურად იზრდებოდა. უფრო მეტიც, ეს განწყობები ერთმანეთს კვებავდნენ და აძლიერებდნენ. ოფიციალური თბილისი 1980-იან წლების შუა პერიოდამდე ცენტრსა და ავტონომიებს შორის ურთიერთობების დალაგებას ასე თუ ისე ახერხებდა, თუმცა ყურადღების გამახვილება ხდებოდა უკვე დამდგარ ფაქტზე და არა პრობლემის სიღრმისეულ მიზეზებზე. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ როგორც აფხაზურ ისე ოსურ მხარეს საკუთარი სიმართლე და მიზეზები გააჩნდათ, რომელთა, როგორც მინიმუმ მოსმენა იყო საჭირო. კონკრეტული ერის დამოუკიდებლობისა და მეტი თავისუფლებისკენ სწრაფვას შესაბამისი საფუძველი სჭირდება - როგორც წესი, უპირველესი მიზეზთაგანი - ეროვნული იდენტობის დაცვა და მისი გადარჩენისთვის ბრძოლა. იდენტობის ერთ-ერთ მთავარ გამსაზღვრელს კი ენა წარმოადგენს. 1978 წელს, საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციაში ქართული ენის სტატუსის დაცვა მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო ქართული საზოგადოებისთვის, თუმცა აფხაზებისა და ოსების მიერ ეს აღქმულ იქნა, როგორც ოფიციალური მოსკოვის უკან დახევა თბილისის წინაშე. აღნიშნულმა მოვლენამ კიდევ უფრო გაააქტიურა აფხაზი და ოსი ნაციონალისტების სეპარატისტული გრძნობები იმ მოტივით, თითქოს ქართველები მათ „ქართულ ენას თავს ახვევდნენ“.

ზოგადად, პოპულარულია მტკიცება იმისა, რომ ყველა შიდა პრობლემის სათავე უცხო სახელმწიფოდან მოდის. ასეთი მოსაზრების მხარდასაჭერად უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის ომში აფხაზი სეპარატისტების მხარეს რუსული არმია და დაქირავებული ბოევნიკები იბრძოდნენ, რამაც, საბოლოოდ ომის ბედი გადაწყვიტა. თუმცა, 1992 წლამდე, ანუ ომის აქტიური ფაზის დაწყებამდე მოვლენებში მუდმივად რუსული კვალის ძიება ობიექტურობის ფარგლებს სცდება. 1980-იანი წლების ბოლოს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მკვეთრი ეთნონაციონალისტური იდეებით იყო გაჟღენთილი, რომლებიც ხშირად რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების

საშუალებას არ იძლეოდა. სწორედ ამ ტალღაზე აღმოცენდა ისეთი გზავნილები, რომლებიც მძლავრ ემოციურ და ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენდა საზოგადოებაზე - ხშირად ხდებოდა აპელირება ეთნიკური ქართველების უფლებების დარღვევაზე სამხრეთ ოსეთში, ასევე ქართული ენის გამოყენების შეზღუდვაზე აღნიშნულ ტერიტორიაზე. ასეთი ფაქტების გაჟღერება ხდებოდა ისეთ ტონალობაში, რომელიც არა პრობლემის მოგვარებას, არამედ მის კიდევ უფრო გამწვავებას ემსახურებოდა. ამის ნათელი მაგალითია რესპუბლიკური მნიშვნელობის გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, რომელიც 1980-იანი წლების მეორე ნახევარში საკუთარ ჟეშმარიტ დანიშნულებას გასცდა და ეთნონაციონალისტური იდეების გამჟღერებულ პლატფორმად იქცა. სათანადო მტკიცებულებების გარეშე საუბარი რთულია, თუმცა ფაქტების ლოგიკური გააზრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ „ადამონ ნიხასის“, როგორც ოსური ნაციონალისტური ორგანიზაციის აღზევებაში და მთელი საქართველოსთვის გაცნობაში უდიდესი წვლილი „ლიტერატურულმა საქართველომ“ შეიტანა.

1988-89 წლებში განვითარებული მოვლენები ერთგვარი დასაბამი იყო მას მერე განვითარებული ომებისა თუ ტრაგიკული მოვლენებისა. მდგომარეობის უკიდურესად გამწვავება მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, რომელთა ზუსტი შეფასება დღემდე არ მომხდარა. ეთნონაციონალისტური ბუმის პერიოდში, მხარეებს შორის დაპირისპირების გაღრმავების ერთ-ერთ საბაზად ენის დაცვა იქცა. ქართულმა და ოსურმა საზოგადოებებმა ქართული და ოსური ენები ბრძოლის იარაღად აქციეს, რამაც ორ ერს შორის შეუქცევადი, ტრაგიკული პროცესები გამოიწვია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დავით ჯიშკარიანი, „თბილისი და ცხინვალი, სუვერენული საქართველოს ფოლკლორული ხედვები“, 2019, http://isnc.ge/index.php/site/edition_detail/1/28
2. ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის (ISNC), „ქართულ-ოსური კონფლიქტის დროითი წრფე (1989 -2008წწ)“, 2019, <https://www.sutori.com/en/story/k-art-ul-osuri-konp-lik-tis-droit-i-crp-ivi-1977-2008--746R3FMiftYruKBSnkEUAodd>
3. lessonsgeo.wordpress.com, „ცხინვალისკენ – ქართული მოსახლეობის უფლებების დასაცავად“, 2010, <https://bit.ly/3kSxxwc>
4. Cornell, Svante E. “Autonomy as a Source of Conflict: Caucasian Conflicts in Theoretical Perspective.” *World Politics* 54, no. 2 (2002): 245–76. <http://www.jstor.org/stable/25054184>.
5. Fishman, Joshua A. “Bilingualism and Separatism.” *The Annals of the American Academy of Political and Social Science* 487 (1986): 169–80. <http://www.jstor.org/stable/1046061>.
6. Horowitz, Donald L. “Patterns of Ethnic Separatism.” *Comparative Studies in Society and History* 23, no. 2 (1981): 165–95. <http://www.jstor.org/stable/178732>.
7. Sprague, Andrew. “RUSSIAN INTERVENTION PATTERNS: A COMPARISON OF NAGORNO-KARABAKH, SOUTH OSSETIA, and TRANSNISTRIA.” *Russian Meddling In Its Near Abroad.: The Use of Frozen Conflicts as a Foreign Policy Tool*. Institut Barcelona d’Estudis Internacionals (IBEI), 2016. <http://www.jstor.org/stable/resrep14215.8>.